საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის

ბრძანება №58
2019 წლის 13 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს დაზვერვის სამსახურში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 6 აპრილის №59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №175 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს დაზვერვის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 6 აპრილის №59 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 07/04/2016, 010320040.43.048.016016) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. სამსახურის უფროსის მოადგილე თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, პირადი პატაკის საფუძველზე და სამსახურის უფროსის თანხმობით, შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში.“;

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის ოპერატიული და ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატებისთვის, სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სავალდებულოა მინიმუმ 2 (ორი) უცხო ენის ცოდნა, მათ შორის ერთი უცხო ენა მაღალ დონეზე, ხოლო მეორე – საშუალო დონეზე.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 13 სექტემბრიდან.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის
უფროსი **ლევან იზორია**